ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3400014

ნომერი: AR1521747

თარიღი : 10.07.2017

გაცემის თარიღი : 18.07.2017

გაცნობის თარიღი : 18.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ;
ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 10 ივლისს №AR1521747 განცხადებით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით, №01.72.14.094.793 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე

(ფართობი: 2000 კვ.მ.) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით, საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5)–ის პარამეტრებით და პირობებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამის შემდგომ, ცვლილება შევიდა ხსენებულ აქტში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: სამი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი. შემდეგ ისევ განხორციელდა ცვლილება და ობიექტად დაფიქსირდა ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
ამ ეტაპზე განხორციელებულია საპროექტო მიწის ნაკვეთის გამიჯვნა ოთხ თანაბარი ფართობის (ფართობი 500 მ2) საკადასტრო ერთეულად. განმცხადებელი ითხოვს აღნიშნულ აქტში ცვლილების განხორციელებას ახალი საკადასტრო კოდების, ფართობების და ახალი ობიექტის- ოთხი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაფიქსირებლად. ამასთან წარმოდგენილია შენობების განთავსების სქემატური ნახაზი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნილი ცვლილებების ასახვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს: საკადასტრო კოდები N01.72.14.056.011 (ფართობი 500 მ2); N01.72.14.056.010 (ფართობი 500 მ2); N01.72.14.056.009 (ფართობი 500 მ2); 01.72.14.056.008 (ფართობი 500 მ2);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ოთხი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი (თითო ნაკვეთზე თითო)
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დამატებით დოკუმენტად დაემატოს 2017 წლის 10 ივლისს №AR1521747 განცხადებით წარმოდგენილი სქემატური ნახაზი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 22 თებერვლის №3096282 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.